

საქართველოს კანონი

**”სამშენებლო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების  
შეტანის თაობაზე”**

მუხლი 1. ”სამშენებლო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39, 2000 წელი, მუხლი 110) მე-3 მუხლის ”მ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”მ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექცია (არქმშენინსპექცია) და მის სისტემაში შემავალი ადგილობრივი ინსპექციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი